

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 10

24.05.2016

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 8

**დღის წესრიგი :**

1. სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ (მ. მშვილდაძე);
2. ფაკულტეტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ (გ.მჭედლიშვილი);

მიმდინარე საკითხები.

**1. მოისმინეს: თავმჯდომარე მ. მშვილდაძე.** მან სათათბიროს წევრებს გააცნო სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილება №1473 სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ. აღნიშნა რომ სულ შემოსულია 179 სტუდენტის განცხადება შესაბამისი დოკუმენტაციებით.

თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია არაპროფილით. თუმცა სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მან სათათბიროს წევრებს შესთავაზა წინადადება ამ კატეგორიის სტუდენტებისთვისაც გაეწიათ რეკომენდაცია ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნის შესახებ.

**აზრი გამოთქვას: პროფესორები: დ. ნოზაძე, ნ. კუციავა;** მათ მხარი დაუჭირეს სტუდენტთა ინდივიდუალურ გრაფიკზე გადაყვანას.

**დადგინეს:** ინდივიდუალურ გრაფიკზე გადასაყვანად მიეცეს რეკომენდაცია ყველა იმ სტუდენტს, ვისაც წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**2. მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი.** მან სათათბიროს წევრებს წარუდგინა სატენდეროდ გამოსაცხადებელი სარემონტო სამუშაოების ნუსხა და აღნიშნა, რომ ტენდერის გამოცხადება ხდება მთლიანობაში და არა ცალკეული ობიექტების სახით. ამასთან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა კალკულაციის შედგენისას, რის გამოც II კორპუსის მე-3 სართულის ფოიეს გასარემონტებლად გათვალისწინებული იყო მხოლოდ 4000 ლარი, რაც მხოლოდ კოსმეტიკური რემონტისთვის იქნება საკმარისი.

**აზრი გამოთქვას პროფესორები: რ.კლდიაშვილი; თ. ცინცაძე; მ. მაისურაძე; ნ. კუციავა.** მათ აღნიშნეს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა გარემონტდეს ლაბორატორიები, რომლებიც დატვირთულია სასწავლო პროცესით. და რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, თანხის სიმცირის გამო, მათ

შორის 405 ოთახის ნაცვლად უნდა გარემონტდეს აუდიტორიულ ფონდში არსებული 304 და 305 ლაბორატორიები ორგანული ქიმიის მიმართულებით, რომლებიც სავალალო მდგომარეობაშია. პროფ. რ. კლდიაშვილის განმარტებით, აუცილებელია ამავდროულად ფაკულტეტზე შეიქმნას საჩვენებელი სასწავლო ლაბორატორიაც.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის ბიუჯეტში სარემონტო სამუშაოების მუხლში გათვალისწინებული თანხის სიმცირის გამო, მიმდინარე წლის სარემონტო სამუშაოები, პირველ რიგში ჩატარდეს საწავლო პროცესით დატვირთულ ლაბორატორიებში. მათ შორის, 405 ოთახის ნაცვლად გარემონტდეს 304 და 305 ლაბორატორიები ორგანული ქიმიის მიმართულებით და კოსმეტიკურად II კორპუსის მე-3 სართულის ჰოლი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

**მიმდინარე საკითხები.**

**მოისმინეს:** თავმჯდომარე მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს შეახსენა, რომ მიმდინარე 2015-16 სასწავლო წელსაც, მეორე და მესამე კორპუსის აუდიტორიები და ლაბორატორიები კვლავ ინტენსიურადაა დატვირთული აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებით და აღნიშნა, რომ მათგან გასულ საწავლო წელს, რექტორის აქტიური მხარდაჭერით ფაკულტეტის ბიუჯეტში გადმორიცხული იქნა 80 000 ლარი. წელსაც რექტორი ჩვეული გულისხმიერებით კვლავაც გვიჭერს მხარს, იგივე თანხა იქნას გადმორიცხული ფაკულტეტის ბიუჯეტში, რისთვისაც საჭიროა აქტიურობა.

**აზრი გამოთქვას:** პროფ. რკლდიაშვილი, დ. ნოზაძე.

**დადგინეს:** დაევალოს მენეჯერს, სათათბიროს სახელით, მიმართოს რექტორს თხოვნით, რათა 80 000 ლარი გასული წლის ანალოგიურად წელსაც გადმორიცხოს ფაკულტეტის ბიუჯეტში აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტმა.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

მ. მშვილდაძე

მდივანი, პროფ.

დ. ნოზაძე